ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ # 121

ქ. თბილისი **29 აგვისტო 2019 წელი**

ერთის მხრივ შ.პ.ს. შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ ს/კ 243123455 (შემდგომშს შემსყიდველი) წარმოდგენილი დირექტორის გიორგი გულაშვილის სახით და მეორეს შპს **„დენიმა“ ს/კ406148048** (შემდგომში მიმწოდებელი) წარმოდგენილიდირექტორის მალხაზ ბენიძეს სახით, შემსყიდველის მიერ საკვების მიწოდების მომსახურების (CPV55521200) სახელმწიფო შსყიდვების სააგენტოგან მიღებული ნებართვის SMP190003411 საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებასშემდეგზე:

1. ხელშეკრულების საფუძველი

1.1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი.

1.2. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 15 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული„გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შეს ყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. შ.პ.ს. „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის“ 2019 წლის შემოსავლების ფარგლებში ბედიანის კლინიკის პაციენტებისთვის საკვების მიწოდების მომსახურებების (CPV55521200)შესყიდვა.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს **65 000.00** (სამოცდახუთი ათასი) ლარი.

3.2 პრეისკურანტის ღირებულებები განისაზღვრება პრეისკურანტში შემავალი ერთეულის ღირებულებების შესაბამისად (დანართი 2).

4. ხელშეკრულების შესყიდვის ობიექტი

4.1. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია: სასადილოებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოების მომსახურებების (შემდგომში მომსახურება) ხელშეკრულების მე-20 და 21-ე მუხლების შესაბამისად.

4.2. ხელშეკრულების დადების შემდეგ, პრეისკურანტში მომსახურების რომელიმე ერთეულის არარსებობისას, აღნიშნული ერთეულის ფასი მისი შესყიდვის აუცილებლობისას, დგინდება შემსყიდველი ორგანიზაციისა და მიმწოდებლის შეთანხმებით საბაზრო ფასის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში პრეისკურანტში შესაბამისი მომსახურების ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს მიმწოდებლის მიერ პრეისკურანტის ჯამური ღირებულების 10%-ს.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

5.1. შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე ხელშკრულების დანართებით განსაზღვრულ ინფორნაციას.

5.2. შესყიდვის ობიექტის უხარისხობის შემთხვევაში „შემსყიდველი“ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით. „მიმწოდებელი“ საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტის ნაკლის აღმოფხვრას „შემსყიდველის“ ინტერესების გათვალისწინებით.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ადგილი და ვადები.

6.1 მომსახურების მიწოდება განხორციელდება ყოველდღიურად, შემსყიდველის მიერ განსაზღვრული გრაფიკის მიხედვით (დღეში 2-ჯერ, 4 ჯერადი კვება, გამონაკლის შემთხვევებში დღეში სამჯერაც), 2019 წლის 29 აგვისტოდან 45 კალენდარული დღის ვადაში, ან შემსყიდველის მიერ საკვების მიწოდების მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან ახალი ხელშეკრულების გაფორმებამდე (იმის მიხედვით რომელი შედეგი დადგება უფრო ადრე).. მომსახურება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების დანართი 1-

ით განსაზღვრული პირობებისშესაბამისად.
6,2. მომსახურების გაწევის ადგილია, დაბა ბედიანი მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საკვების ატანა შესაბამის სართულზე სანიტარული ჰიგიენური პირობების დაცვით.
6,3 მომსახურება გაწეული უნდა იქნას ამ ხელშკრულებს დანართებით განსაზღვრულიპირობების/მოთხოვნების შესაბამისად. ამასთან აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

7.1. შემსყიდველის მიერ მომსახურების მიღება წარმოებს ეტაპობრივად. საანგარიშო თვეში მომსახურების მიწოდების დასრულების შემდგომ ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტი.
7.2. მიღება–ჩაბარების აქტებს შემსყიდველის მხრიდან ხელს აწერს ცენტრის ბედიანის კლინიკის დიეტ ექთანი ლიდა ოქროპირიძე, ხოლო მიმწოდებლის მხრიდან მის მიერ უფლებამოსილი პირი.
7.3. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარებისათვის მიმწოდებელმა ყოველდღიურად უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტი (სასაქონლო ზედნადები) დღის განნმავლობაში მიწოდებული საკვები პროდუქტის დასახელების, საერთო რაოდენობის, ერთეულის ფასის და საერთო ღირებულების მითითებით.
7.4. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველისათვის 7.3. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარდგენა „გაწეული მომსახურების/საკვების დანიშნულ ადგილზე მიწოდებისთანავე. პასუხისმგებლობა შემსყიდველის მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის დაგვიანებით მიღების ან მიუღებლობის შედეგად წარმოქმნილი ყველა ხარჯისათვის ეკისრება მიმწოდებელს.
7.6. მომსახურების გაწევის დროს გამოვლენილი დეფექტისა და ნაკლის აღმოფხვრას, აუცილებლობის შემთხვევაში გამოცვლას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“.
7.7 იმ შემთხვევაში, თუ „შემსყიდველის“ მიერ საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი იქნება „შესყიდვის ობიექტის“ უხარისხობა, იგი წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ და მოითხოვს სათანადო კომპენსაციას.

8. ანგარიშსწორების წესი, ფორმა და ვადები

8.1.1 სატენდერო წინადადების საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯის (მ.შ. ტრანსპორტირება, ადგილზე მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები) გათვალისწინებით;
8.1..2. ანგარიშსწორება მოხდება თვეში ერთხელ, სააგენგარიშო თვის განმავლობაში ფაქტიურად გაწეული მომსახურების (პრეისკურანტის შესაბამისად მიწოდებული საკვების) ღირებულების თანხაზე, რომელიც დადგინდება თვის განმავლობაში მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადებებით. მხარეთა შორის თვის შემაჯამებელი მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების და შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ, წარმოდგენიდან 25 სამუშაო დღის განმავლობაში
8.1.3.. იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულებით ვად ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება ნაკლებია სახელშეკრულებო ღირებულებაზე, მიმწოდებელი კარგავს აუთვისებელი თანხის მოთხოვნის უფლებას.
8.14. წინასწარი ანგარიშსწორება არ დაიშვება;

9. პირგასამტეხლო

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გადაცდენის შემთხვევაში მომწოდებელს ეკისრებათ პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.
9.2. ხელშეკრულებით განსაზღვრული ნაკისრი ვალდებულების სრულად ან ნაწილობრივ (ცალკეული პუნქტების)არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილა დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 1%-ის ოდენობით.
9,4 იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების/აღებული ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, შემსყიდველის მიერ მოხდა ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტა, მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების ღირებულების 10%-ით.
9.3 იმ შემთხვევაში, თუ პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადაჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს შემსყიდველს უფლება აქვს (და არა ვალდებულება) ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებულიზარალისანაზღაურება.

9.4 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.5 მომწოდებელი ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ პირგასამტეხლოს თანხის გადახდა წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში. ან წერილობით დადასტურონ მის გამოკლებაზე ანგარიშსწორების პერიოდისათვის, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

9.6 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მოწოდებელი უარს განაცხადებს მის შესრულებაზე შემსყიდველს ერთჯერადად გადაუხდის ჯარიმის სახით ხელშეკრულების ღირებულების 20%-ს. მომსახურებასთან დაკავშირებული საჯარინო სანქციები დამატებით განისაზღვრება წინამდენარე ხეწლშეკრულების დანართი 1-ით განსაზღვრულის შესაბამისად.

9.7. ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ვალდებულებების შესრულებისგან.

9.8. მიმწოდებელი ვალდეწბულია გადაიხადოს დაკისრებული ჯარინა შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებიდან 10 დღის ვადაში. ასევე შემსყიოდველი უფლებამოსილია მოახდინო საჯარომო თანხის ჩამოჭრა მიმწოდებლისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან.

10. მხარეთა უფლება–მოვალეობები

10.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

10.1.1. აცნობოს „მიმწოდებელს“ ყველა მომხდარ ცვლილებათა შესახებ, რომელიც პირდაპირ ან ირიბად შეიძლება ეხებოდეს ხელშეკრულების პირობებს.

10.2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

10.2.1. მიაწოდოს „შემსყიდველს“ მომსახურება /„საქონელი“, რომელიც სრულად შეესაბამება ხარისხით და სხვა მონაცემებით „შემსყიდველის“ დაკვეთას.

10.2.2. დროულად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ყველა ვალდებულება.

10.3. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:

10.3.1. მოითხოვოს „მიმწოდებლისგან“ ხელშეკრულების ყველა პუნქტის შესრულება.

10.3.2. უარი განაცხადოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე იმ შემთხვევაში, თუ „მიმწოდებელი“ დაარღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს ან მის წინაშე დადგება დაუძლეველი ძალა.

10.3.3. არ სცნოს „მიმწოდებლის“ არცერთი ვალდებულება, რომელიც არაა განსაზღვრული ამ ხელშეკრულებით.

10.3.4. მიმართოს სასამართლოს ან სხვა შესაბამის ორგანოებს „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო და მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება;

10.4. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:

10.4.1. მოითხოვოს „შემსყიდველისაგან“ მის მიერ მიწოდებული „საქონლის“ ღირებულების სრული ანაზღაურება.

10.4.2. განაცხადოს უარი ხელშეკრულების შესრულებაზე ან მის გაგრძელებაზე, თუ „შემსყიდველის“ მიერ სახელშეკრულებო პირობების შეუსრულებლობის გამო მისთვის შეუძლებელი ხდება „საქონლის“ მიწოდება ან მის წინაშე დადგა დაუძლეველი ძალა.

10.4.3. აწარმოოს მოლაპარაკება „შემსყიდველთან“ სახელშეკრულებო პირობებში კანონით დაშვებული ცვლილებების შეტანისათვის.

10.4.4. მიმართოს სასამართლოს ან სხვა შესაბამის ორგანოებს „შემსყიდველის“ მიერ ხელშეკრულების პირობების დაღვევის გამო.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

11.1 მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას ხელშეკრულების სრული და უპირობო შესრულებისათვის.

11.2. ამასთან მხარეები სრულად იღებენ პასუხისმგებლობას მოახდინონ მიყენებული რეალური ზარალის ანაზღაურება, რომელსაც ექნება შესაბამისი დადასტურება.

11.3. ხელშეკრულების პირობების ცალმხრივი შეუსრულებლობა მხარეთა შორის დადებული შეთანხმების გარეშე, განურჩევლად მისი ობიექტური მიზეზისა გამოიწვევს საჯარიმო სანქციებს.

11.4. ხელშეკრულების შეწყვეტა მთლიანი ან ნაწილობრივი შეწყვეტა მხარეთა მიერ წერილობითი შეტყობინების გარეშე და ამ შეტყობინებაზე წერილობითი პასუხის მიღების გარეშე დაუშვებელია.

11.5. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის“ ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

11.5.1. თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს„საქონელი“:
11.5.2. თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება, რომელიც ცვლის პირობებს, რის გამოც ვერ განხორციელდება „მომსახურების“ მიწოდება სრულად ან დადგენილ ვადებში.
11.6. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.
11.7. „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ:
11.7.1. თუ ხელშეკრულების შესრულების გაგრძელება მიზანშეუწონელია „შემსყიდველის“ ფინანსური ინტერესებიდან გამომდინარე;
11.7.2. თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
11.7.3. „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში.
11.8. საჯარიმო სანქციები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. დაუძლეველი ძალის მოქმედება

12.1. ხელშეკრუ;ლების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის დაუძლეველ გარემოებათა შედეგი.
12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის დაუძლეველი ძალა ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა“ და/ან „მიმწოდებლის“ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და მას გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იყოს საბრძოლო მოქმედებებით, წყალდიდობით, ეპიდემიით, კარანტინით, და სხვა მასთან გათანაბრებული მოვლენებით, რომელსაც ცნობენ მხარეები.
12.3. დაუძლეველი გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება აღწერილობით გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობათა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან დაუძლეველი გარემოებების ზეგავლენისგან.
12.4. დაუძლეველი ძალის არსებობა, უკიდურეს შემთხვევათა გარდა, უნდა იყოს დადასტურებული ოფიციალური ორგანოების მიერ, პრესის ან სხვა მხარეებისათვის მისაღები ფორმით.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ უნდა იხმაროს ყველა ღონე, რათა მათ შორის ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ, მოაგვარონ მოლაპარაკების წესით.
13.2. თუ „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადაო საკითხის მოგვარებას მოლაპარაკების გამართვის შემდეგ, ნებისმიერ მხარეს დავას გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს სასამართლოს, რის შესახებაც იგი წინასწარ აცნობებს მეორე მხარეს.

14. გამოსაყენებელი სამართალი

14.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონის მიხედვით.

15. ხელშეკრულების ენა

15.1. ხელშეკრულების ენაა ქართული. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შეესაბამებოდეს სახელშეკრულებო პირობებს.

16. ურთიერთობა მხარეებს შორის

16.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

16.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო ადრე დადგება.

17. ხელშეკრულების სხვა პირობები

17.1. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ხდება მხოლოდ მხარეების მიერ წერილობითი შესწორებით და ფორმდება ხელშეკრულების დანამატის სახით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

17.2. „მიმწოდებელს“ არ აქვს უფლება წერილობითი თანხმობის გარეშე მოახდინოს მესამე პირისათვის უფლებების გადაცემა.

17.3. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული შემთხვევებისა

17.4. ხელშეკრულების შესრულების შეფერხების შემთხვევაში მხარეები დაუყოვნებლივ წერილობით ატყობინებენ ერთმანეთს და ღებულობენ ერთობლივ გადაწყვეტილებას.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1. ხელშეკრულება შედის ძალაში მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის თარიღიდან.

18.2. ხელშეკრულების მოქმედები ვადა განისაზღვრება: 2019 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

18.3. ხელშეკრულების მოქმედების ვადებში ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.

18.4. ურთიერთობა მხარეებს შორის წყდება მხარეების მიერ ყველა ვალდებულებათა შესრულებისა და დებიტორულ–კრედიტორულ დავალიანებათა დაფარვის შემდგომ.

19. განსაკუთრებული შენიშვნები

19.1. ხელშეკრულება დგება ორ თანაბარძალოვან ეგზემპლარად, საიდანაც ერთი ეგზემპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს“.

19,2. წინამდებარე ხელშეკრულება დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით და/ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

20. მომსახურების გაწევის პირობები

დანართი 1

1. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს პაციენტებისათვის მზა საკვების მიწოდება ყოველდღიურად. პრეისკურანტის ჩამონათვალის შესაბამისად.

2. პაციენტთა სავარაუდო რაოდენობაა 150-160., თუმცა შესაძლებელია მოხდეს უფრო ნაკლები რაოდენობის პაციენტებზე მიწოდებაც, მისაწოდებელი საკვების რაოდენობა პაციენტების შესაბამისად დაზუსტდება ყოველდღიურად შემსყიდველის მიერ და წინასწარ, წინა ღამეს ეცნობება მიმწოდებელს (ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია რაოდენობა დამატებით დაზუსტდეს დილის საათებშიც).

3. მზა საკვების მიწოდება უნდა განხორციელდეს ყოველდღიურად - ოთხჯერადი კვება ორჯერადი მიწოდებით. განსაკუთრებულ შემთხვევევაში (მხარეთა შეთანხმებით) სამჯერადი ან ოთხჯერადი მიწოდებით. პრეისკურანტში მოცემული ჩამონათვალისგან შედგენილი მენიუს კომბინაციების შესაბამისად, რომელიც წინასწარ განისაზღვრება შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ.

4. ერთჯერზე დგება და მტკიცდება ერთი კვირის მენიუ. (ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია მოხდეს ორკვირიანი ან ერთთვიანი მენიუს შედგენაც).

5. მიმწოდებელმა საკვების მომზადება უნდა უზრუნველყოს საკუთარი პერსონალით (მომსახურების გაწევისთვის აუცილებელი ყველა სახის პერსონალით) შემსყიდველის ტერიტორიაზე, კვებისთვის განკუთვნილ ობიექტზე, მისამართზე დაბა ბედიანი;

6..მიმწოდებელი ვალდებულია საკვების მომზადებისა და მოწოდებისას იხელმძღვანელოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 5 დეკემბრის N 237/ნ ბრძანებით. მიწოდებული საკვები უნდა იყოს ახალი, საჭმელად ვარგისი და არ უნდა იყოს ჯანმრთელობისთვის საშიში.

7.მიმწოდებელი ვალდებულია ზუსტად დაიცვას შემსყიდველთან მიწოდებული მენიუს შემადგენლობა, ულუფაში შემავალი იგრედიენტების რაოდენობა/კომბინაცია და კალორაჟი. ასევე ხელშეკრულების მოქმედების ნებიერ ეტაპზე გაითვალისწინოს შემსყიდველის დამატებითი მოთხოვნები და/ან შენიშვნები (როგორც წერილობითი ასევე ზეპირსიტყვიერი), რომელიც დაკავშირებული იქნება მომსახურების გაწევასთან და მომსახურების გაწევის პროცესში ჩართულ პერსონალთან;

8. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მისაწოდებელი კერძების დამზადება ახალი მაღალხარისხიანი ჯანსაღი პროდუქტებისაგან; მიმწოდებლის მიერ დამზადებული/მიწოდებული კერძები და კვების პროდუქტები თავის საგემოვნო თვისებებით უნდა შეესაბამებოდეს შესაბამის სტანდარტებს, უნდა იყოს საკვებად ვარგისი და ჯანმრთელობისთვის უვნებელი, დაუშვებელია ვადაგასული და საკვებად უვარგისი პროდუქტების მიწოდება. შემსყიდველი უფლებამოსილია, ეჭვის შემთხვევაში,ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ დროს მოახდინოს მიმწოდებლის მიერ მოწოდებული საკვები პროდუქტების ხარისხისა და ვარგისიანობის ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიული კვლევა ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში როგორც საკუთარი ასევე მიმწოდებლის (კვლევა უნდა ჩატარდეს ლიცენზირებულ ლაბორატორიაში) ხარჯით. თუ ლაბორატორიული კვლევისას დადგინდა მოწოდებული საკვების პროდუქტების კალორაჟის, ხარისხისა და ვარგისიანობის შეუსაბამობა შემსყიდველის მიერ მოთხოვნილსა და არსებულ სტანდარტებთან, მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების ღირებულების 2%-ით და იხდის კვლევის ღირებულებას იმ შემთხვევაშიც თუ აღნიშნული ჩატარდა შემსყიდველის მიერ. ხოლო შემსყიდველი იტოვებს უფლებამოსილებას ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტისშესახებ;

9. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს საქართველოში მოქმედი სანიტარიული-ჰიგიენური ნორმების სრული დაცვით;შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოახდინოს მომსახურების გაწევის სანიტარულ ჰიგიენური პირობების შემოწმება/ინსპექტირება. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გასწორება, ხელახალი შემოწმების დროს

უარყოფითი შედეგის (შემსყიდველისთვის მიუღებელი სანიტარულ ჰიგიენური პირობების არსებობის/დარჩენის) შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააჯარიმოს მიმწოდებელი არაჯეროვანი შესრულებისთვის ხელშეკრულების ღირებულების 2%-ით და/ან ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

10. მე-8 და მე-9 პუნქტებით განსაზღვრული მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმა არაჯეროვანი შესრულებისთვის ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით და ახალი მიმწოდებლის გამოვლენამდე საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს პაციენტთა კვება სატენდერო წინადადების მოთხოვნების შესაბამისად.

11. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს კვების ობიექტის დალაგება, მომსახურების პროცესში გამოყენებული ინვენტარის (როგორიცაა ქვაბი და საჭმლის მომზადებისას გამოყენებული სხვა ჭურჭელი) დარეცხვა და კვების ობიექტზე სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვა მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად..

12. მომსახურება უნდა განახორციელოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალმა; მომსახურების მომწოდებელ პერსონალს გავლილი უნდა ჰქონდეს სამედიცინო შემოწმება, ამასთან თუ პერსონალის სამედიცინო შემოწმება ჩატარებულია წინამდებარე ტენდერში მომსახურების დაწყებამდე 2 თვეზე მეტი დროით ადრე, მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურე პერსონალს სამედიცინო შემოწმება ჩაუტაროს მომსახურების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნის მიხედვით).

13. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ დროს (მათ შორის ხელშეკრულების დადების მომენტისთვის) მოითხოვოს მე-12 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების დამადასტურებელი დოკუმენტები.

14 .მიმწოდებელს უნდა ჰქონდეს გაფორმებული ხელშეკრულება სადეზინფექციო სამსახურთან ჩატარებული დეზინფექციის, დეზინსექციის და დერატიზაციის შესახებ. ამ სამსახურების მიერ გაცემული დასკვნები ჩატარებული სამუშაოების (თვეში ერთხელ) შესახებ უნდა ინახებოდეს კვების ობიექტებში. მიმწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის უნდა წარუდგინოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული ხელშეკრულება;

15. კვების ობიექტი უზრუნველყოფილია მომსახურების გაწევისათვის საჭირო აუცილებელი ინვენტარით და სამზარეულოს სათანადო დანადგარებით. ასევე ჭურჭლით და სხვა საჭირო ინვენტარით; საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელმა თვითონ უნდა მოახდინოს დამატებითი ინვენტარის დამატება.

16. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურბის პროცესში მის მიერ გამოყენებული კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის გადახდა, მათ შორის კომუნალური მომსახურების (დენი) და პასუხისმგებელია სამზარეულოს ძირითადი საშუალებების მოვლა-შენახვაზე, ექსპლუატაციის პროცესში დაზიანების შემთხვევაში ვალდებულია შეაკეთოს ძირითადი საშუალებები.

21. მომსახურების პრეისკურანტი (დანართი 2)

N	*პროდუქტის დასახელება*	*ზომის ერთეული*	*ერთი ულუფის რაოდენობა ცალი/გრამი*	*ულუფაში პროდუქტის რაოდენობა*	*მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული ფასი*
1	პური ხორბლის თეთრი (თეთრი/რუხი)	გრამი	400	400	0,76
2	ჩაი (ერთჯერადი პაკეტებით)	ცალი	1	1	0,16
3	კარაქი	გრამი	20	20	0,37
4	შაქარი	გრამი	15	15	0,08
5	ყველი	გრამი	20	20	0,45
6	ხაჭო	გრამი	50	50	0,6
7	ხილფაფა	გრამი	50	50	0,38
8	არაჟანი	გრამი	20	20	0,35
9	მანის-ფაფა რძით	გრამი	220	220	0,7
10	შვრიის-ფაფა რძით	გრამი	220	220	0,7
11	ბრინჯის ფაფა რძით	გრამი	220	220	0,75
12	ფეტვის ფაფა	გრამი	200	200	0,6
13	მოხარშული კარტოფილი კამით	გრამი	200	200	0,6
14	წიწიბურას გარნირი	გრამი	200	200	0,6
15	მაკარონი ფლოტურად	გრამი	220	20/200	1,08
16	მაკარონი-ყველით	გრამი	220	20/200	0,75
17	მაკარონის ან ვერმიშელის გარნირი	გრამი	200	200	0,6
18	ჩაშუშული კომბოსტო	გრამი	200	200	0,5
19	კარტოფილის პიურე	გრამი	200	200	0,6
20	ბორშჩი	გრამი	400	400	0,70
21	ბრინჯის სუფი	გრამი	400	400	0,70
22	ლობიო	გრამი	300	300	0,9
23	მაკარონის სუფი	გრამი	400	400	0,60
24	სუფ-ხარჩო საქონლის ხორცით	გრამი	400	60/340	1,8
25	ჩიხირთმა ქათმის	გრამი	400	80/320	1,3
26	პერლოვის სუფი	გრამი	400	400	0,35
27	ქათმის კატლეტი	გრამი	100	100	1,15
28	გუფთა საქონლის ხორცით	ცალი	2	50/50	1,73
29	ტოლმა საქონლის ხორცით, კომბოსტოთი/ბულგარულით	გრამი	300	300	1,73
30	კატლეტი საქონლის ხორცით	გრამი	100	100	1,68
31	თევზი (ფილე) შემწვარი (მშრალად ან ქინძმარში)	გრამი	100	100	1,98
32	ბოსტნეულის ტოლმა ბულგარული	გრამი	250	250	0,9
33	შილა-ფლავი ხორცით	გრამი	200	40/160	1,53
34	აჯაფსანდალი ბოსტნეულის	გრამი	250	250	0,6
35	ხილის კისელი	გრამი	170	170	0,53
36	ხილის კომპოტი	გრამი	150	20/130	0,53
37	კაკაო რძით	გრამი	150	150	0,6

38	ხილი (სხვადასხვა სახის, შემსყიდველთან შეთანხმებით)	გრამი	150	150	0,78
39	მაწონი	გრამი	150	150	0,6
40	ხაჭაპური იმერული	გრამი	120	120	1
41	კარტოფილის ღვეზელი	გრამი	120	120	0,6
42	ნამცხვარი (ვაშლის პეროგი)	გრამი	100	100	0,9
43	ლობიანი	გრამი	120	120	0,60
44	ფუნთუშა	გრამი	100	100	0,5
45	სალათი მაიონეზით	გრამი	200	200	0,8
46	ბრინჯის ფაფა ქიშმიშით ან ხილით	გრამი	220	220	0,8
47	ხაბახუბა (ვინეგრეტის სალათა)	გრამი	200	200	0,70
48	კომბოსტოს სალათი ზეთით	გრამი	200	200	0,6
49	კომბოსტოს სალათი მაიონეზით	გრამი	200	200	0,8
50	ყვავილოვანი კომბოსტოს სალათი მაიონეზით	გრამი	200	200	0,7
51	კიტრი-პომიდვრის სალათი	გრამი	100	100	0,4
52	სოსისი რძიანი	გრამი	50	50	0,8
53	შემწვარი ქათამის ბარკალი	გრამი	150	150	1,73
54	მოხარშული კვერცხი	ცალი	1	1	0,45
55	ჩურჩხელა (საახალწლოდ)	ცალი	1	1	0,50
56	გოზინაყი (საახალწყლოდ)	გრამი	20	20	0,2
57	კანფეტი	გრამი	20	20	0,25
58	ორცხობილა(ვაფლი)	გრამი	50	50	0,35
59	პასკა სააღგომოდ	გრამი	150	150	0,6
60	მოხარშული გოგრა	გრამი	200	200	0,3
					44,9

შემსყიდველი

შპს "აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი"

ს/კ243123455

მისამართ . თბილისი,ნუცუბიძეს 14ბ

საბანკო რეკვიზიტები სს საქართველოს ბანკი

BAGAGE22

ა/ა GE02BG0000000267299600

დირექტორი

_____

გ. გულაშვილი

მიმწოდებელი

შპს "დენიმა"

ს/კ406148048

მოსკოვის გამზირი კორ. 36გ. ბინა 65

საბანკო რეკვიზიტები სს" თი ბი სი ბანკი"

TBCBGE 22

ა/ა GE65TB7286336020100003

დირექტორი

_____

/მ.ბენიძე/

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

”სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელმოწერით ადასტურებს, რომ არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში, შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრის” 2019 წლის შემოსავლების ფარგლებში ბედიანის კლინიკის პაციენტებისთვისცსაკვების მიწოდების მომსახურების (CPV555212) შესყიდვის მიზნით გაფორმებული ხელშკრულების #119 მიმწოდებელთან შპს „ დენიმა “.

ცენტრის დირექტორი

გიორგი გულაშვილი

შესყიდვების მენეჯერი
ირინე ყარაულაშვილი

ბედიანის კლინიკის დიეტ ექთანი
ლიდა ოქროპირიძე,

PSYCHOLOGICAL HEALTH CENTER OF EAST GEORGIA LTD

Digitally signed by PSYCHOLOGICAL HEALTH CENTER OF EAST GEORGIA LTD
Date: 2019.08.29 12:26:36 +04'00'